



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1966
11/12/2018

ქალაქი ბათუმი

1966-05-4-201812111208



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის №2503 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ზვიად ხალვაშის 2018 წლის 07 დეკემბრის №3512-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის №2503 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) მალხაზ სალვარიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;
- დ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;
- ე) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ვ) სოფიო მურვანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ზ) თეიმურაზ გაწერელია - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- თ) დავით ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ი) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროს სპეციალისტები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში;

კ) საჭიროების შემთხვევაში კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს გეოლოგიურ და სხვა სამსახურებს.“.

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ვარდმანიძე ჯუმბერ

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

